# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(305) 2024 წ. 1-15 თებერვალი ფასი 1 ლარი

## საგარეჯოს და მარნეულის მუნიციპალიტეტების ერთობლივი ფორუმი




**საგარეჯოს** და მარნეულის მუნიციპალიტეტები 2023 წელს ოფიციალურად შეუერთდნენ ევროპის საფესტივალო ქალაქების პლატფორმას და მემორანდუმზე ხელმოწერით მისი წევრები გახდნენ. სწორედ ამ თანამშრომლობის საფუძველზე აბრეშუმის გზის კულტურის ჰაბის და ევროპის საფესტივალო ასოციაციის - ევროპის საფესტივალო ქალაქების ფარგლებში, შეიქმნა „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმა", რომელიც ორი მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, კულტურული იდენტობის შენარჩუნებას და ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

მარნეულის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები, აბრეშუმის გზის კულტურის ჰაბის ფარგლებში შექმნილი, ახალი „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმის" პირველ საერთაშორისო ფორუმზე იწვევს ევროპულ და აზიურ ქალაქებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისეთი სფეროებით, როგორიცაა: ეკონომიკის განვითარება და ქალაქების ინფორმირებულობა კულტურის, ღვინისა და ტექნოლოგიების მეშვეობით, კულტურული ტურიზმის განვითარება ფესტივალების მეშვეობით, ინსტიტუციური და ინდივიდუალური ეკონომიკური ინიციატივებით სხვადასხვა ქალაქებს შორის კულტურული თანამშრომლობა. ფორუმში 10 ქვეყნის დელეგატები მიიღებენ მონაწილეობას.

მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებმა, ახალი „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმის" პირველ საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლეს.

ფორუმის ორგანიზატორი და მხარდამჭერია მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები, კოორდინირებას კავკასიის საერთაშორისო კულტურული პროგრამების ბიურო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „იუნესკოს კათედრა" უწევს.

**მარნეულში**, ფორუმის პირველ დღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და დელეგატებს შორის გაცნობითი შეხვედრა გაიმართა.

***მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა კენან ომაროვმა, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძემ*** და ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა*** დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს. შეხვედრას ასევე, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **კახა კობერიძე** ესწრებოდა.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა იმირის გადაჭრილი გორა და წერაქვის სამონასტრო კომპლექსი მოინახულეს, იმყოფებოდნენ მარნეულის სასურსათო ქარხანაში, გაიცნეს ადგილობრივი მეწარმეების საქმიანობა და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალი. სპეციალურად მათთვის გაიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი.



საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ ფორუმზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა***, ***საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილმა***, ***კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა***, ***ქვემო ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი დოხტურიშვილმა*** და ***მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა კენან ომაროვმა***. ფორუმს უძღვებოდა ***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე.***



ფორუმი სამი სესიისგან შედგებოდა. ერთ-ერთი ნაწილი დაეთმო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, ტურიზმის პოტენციალისა და კულტურის ისტორიის მიმოხილვას, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების მიერ პრეზენტაციების სახით იყო წარმოდგენილი. გაიმართა საიმიჯო ვიდეორგოლის პრეზენტაცია „საგარეჯო-სამუდამოდ მეხსიერებაში".

შემაჯამებელ და სადისკუსიო ნაწილში კი საგარეჯოს, როგორც ევროპის საფესტივალო ქალაქების პლატფორმის წევრი ქალაქის სამომავლო გეგმებისა და განსახორციელებელი პროექტების შესახებ ისაუბრეს საგარეჯოს და მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.




მუნიციპალიტეტების მიერ ორგანიზებულ, ერთობლივ ფორუმში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელი პირები და 10 ქვეყნის დელეგატები იღებდნენ მონაწილეობას.

„კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმის" ფარგლებში საერთაშორისო ფორუმში მონაწილე სტუმრებს უცხოეთიდან ღონისძიების მეორე დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგატებმა ფორუმის მასპინძელი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, კაკაბეთის რურალური ცენტრი, ჩირის გადამამუშავებელი ქარხანა, ნინოწმინდის მონასტერი და სოფელ მანავში გიუაანის მეღვინეობა დაათვალიერეს. მონაწილეობა მიიღეს პურის ცხობის და ხინკლის მომზადების მასტერკლასში. სპეციალურად მათთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში კონცერტი გაიმართა.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები



5-6-7-8-9 თებერვალს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი-**ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან - **ემზარ კუჭუაშვილთან** და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე - **ალექსი**



**ბილაშვილთან** ერთად, „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, გიორგი-



წმინდის, მანავის, კოჭბანის, გომბორისა და უჯარმის თემებში შემავალი სოფლების,

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები

**დასასრული**

ასევე ხაშმის, პატარძეულის, წყაროსთავის, ნინოწმინდის, თოხლიაურის, პატარა და დიდი ჩაილურების, ვერხვიანის კაკაბეთის სოფლების მოსახლეობას შეხვდა.



ადგილობრივებმა, **ავთანდილ გულიკაშვილს** ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებისთვის მადლობა გადაუხადეს და წარმატება უსურვეს.



„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის 668 000 ლარია გამოყოფილი.



შეხვედრისას საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივებთან დიალოგის რეჟიმში ისაუბრა და დასმულ საკითხებზე მყისიერი რეაგირებისთვის შესაბამის სამსახურებს პრობლემების მოგვარება დაავალა, რომელსაც, როგორც მერმა საუბრისას აღნიშნა - პირად კონტროლზე აიყვანს და მონიტორინგს გაუწევს.

ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფლებისთვის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს და ერთობლივი მსჯელობის შედეგად ის პროექტები შეარჩიეს, რომლებიც მოსახლეობის საჭიროებებზე ყველაზე მეტად არის მორგებული.



# ინფრასტრუქტურა-2024

## ავტომაგისტრალი

**საქართველოში** 2012 წლამდე აშენებული იყო 68 კმ. მაგისტრალი, აშენდა - 203 კმ გასულ წელს მხოლოდ ერთ წელიწადში გაიხსნა 37 კმ მაგისტრალი, 2024 წელს კი 90 კმ-მდე მაგისტრალის გახსნაა დაგეგმილი.

### საგზაო ინფრასტრუქტურა

**2013** წლიდან დღემდე 16 000 კმ-ზე მეტი გზის რეაბილიტაცია განხორციელდა. ეს არის მუნიციპალური და შიდასახელმწიფოებრივი ცენტრალური გზები, მაგრამ არა აშენებული მაგისტრალები. საავტომობილო გზების ბიუჯეტი 2012 წელს იყო 378 მილიონი, ხოლო 2024 წელს 1.9 მილიარდია. მთლიანობაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ცხრანახევარი მილიარდი ლარი აქვს უკვე დახარჯული სხვადასხვა პროექტში.

თუ 2010 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 25 მილიონს შეადგენდა, 2012 წელს 34 მილიონს, 2024 წელს წყალმომარაგების ბიუჯეტი 530 მილიონია და ის ყოველწლიურად მზარდია. წყალმომარაგება-წყალარინების მიმართულებით 2 მილიარდ ლარზე მეტის პროექტები უკვე განხორციელებულია.

დღეისათვის სამი მილიარდი ლარის პროექტები მიმდინარეობს 100 მდებარეობაში, აქედან 20 ქალაქია, დანარჩენი არის დაბა, სოფელი, კურორტი და ასე შემდეგ“.



**გრძელდება** ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის სამუშაოები კახეთის მიმართულებით

2024 წელს დასრულდება თბილისი-საგარეჯოს 31 კმ-იანი და ბაკურციხე - წნორის 16.6 კმ-იანი მონაკვეთების მშენებლობა

**გაგრძელდება** 2023 წელს დაწყებული **საგარეჯო-ბადიაურის 17 კმ-იანი** მონაკვეთის მშენებლობა, რომლის დასრულება 2025 წელს იგეგმება

**2024** წელს საერთო ჯამში რეაბილიტირდება 400 კმ-ზე მეტი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა

ხულო-ზარზმის გზაზე დასრულებულია 17 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა, 2024 წელს გაგრძელდება და დასრულდება ხულო-ზარზმის გზის დანარჩენი მონაკვეთები

გრძელდება ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის 50 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია, რომლის 25 კმ უკვე დასრულებულია, 2024 წელს დაიწყო სამუშაოები დარჩენილ 25 კმ-იან მონაკვეთზე. სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2025 წელს

გაგრძელდება და 2024 წლიდან ეტაპობრივად დასრულდება სამუშაოები ბაღდათი-აბასთუმანის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც 36 კმ-მდე გზა უკვე დასრულებულია

2024 წელს დასრულდება ***გომბორის 33 კმ-იანი მონაკვეთის*** რეაბილიტაცია და დაიწყება ომალოს მიმართულებით მიმდინარე საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტების ეტაპობრივი დასრულება

# ხაშმის საჯარო სკოლა

**სწრაფი** ტემპით მიმდინარეობს რევაზ ინანიშვილის სახელობის ხაშმის საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია, რომლის დამთავრებამდე აქაური მოსწავლეები სწავლას პატარძეულის საჯარო სკოლის შენობაში აგრძელებენ.







# კონკურსი – „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები...“

## შენი სოფლის ისტორიიდან იწყება შენი მომავალიც

**გასული** წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში საგარეჯოს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მე-7-მე-12 კლასებისათვის ლიტერატურულ-ისტორიული კონკურსი – „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“ გამოაცხადა. კონკურსი მიზნად ისახავდა გაეღრმავებინა მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა, ამასთან, ნამდვილად მისაღებია და სავალდებულოა, ახალგაზრდებმა იცოდნენ თავიანთი კუთხის, ისტორიულად ცნობილი გარე კახეთის ისტორია. ეს კი ნიშნავს მშობლიური მხარისადმი სიყვარულის გაღრმავებას, წინაპართა მიერ დანატოვარის პატივისცემას.

კონკურსის მოთხოვნით, მოსწავლეებს მოკლე ვადაში უნდა მოეძებნათ თავიანთი მხარის – ქალაქის ან სოფლის ისტორია, მოეხდინათ გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის, თქმულებების, ლექსების, ჩანახატების შეგროვება. ამასთან, კარგი იქნებოდა, თუ მოსწავლეები ხელნაწერთან ერთად წარმოადგენდნენ ვიდეო და აუდიო მასალასაც.

კონკურსის შეჯამება მოხდებოდა კომპეტენტური ჟიურის მიერ, რომელიც წარმოდგენილი საკონკურსო თემების გაცნობის შემდეგ გამოავლენდა გამარჯვებულ სკოლებს. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულებიც ცნობილი იქნებოდნენ.

და აი, შემოქმედი, საკუთარ სოფელზე შეყვარებული ახალგაზრდების გამოვლენის მიზნით საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა კონკურსის შემაჯამებელი ღონისძიება, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი **ვერიკო კერატიშვილი**. ღონისძიებას ესწრებოდნენ კონკურსის მონაწილე მოსწავლეები, მათი თემის ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები, მოსწავლეთა მშობლები.

ღონისძიებაზე საინტერესოდ იქნა წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ დამუშავებული თემები. სიმართლე გითხრათ, აქ წარმოდგენილი ყველა თემა საინტერესოდ მოსასმენი იყო, რომელსაც თან ახლდა ვიდეომასალაც.

სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ***მარიამ ადამაშვილმა, ნინო უსტიაშვილმა, ლიკა მეხაშიშვილმა, ქეთევან გიუნაშვილმა, ბარბარე უსტიაშვილმა, მარიამ უნაფქოშვილმა, ანანო პავლიაშვილმა, ეთერ მარტიაშვილმა, მარიამ სიბოშვილმა, თინათინ ზუკაკიშვილმა, ნათია მნათობიშვილმა, ქეთევან ცხვარიაშვილმა*** (თემების ხელმძღვანელი ***ნანა ნარიმანიშვილი)*** წარმოადგინეს თემები, რომლებმაც დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებისთვის. მათ არ გამორჩენიათ სოფლის არც ერთი ისტორიული ძეგლი, სოფლის გამოჩენილი ადამიანები, მოვლენები, რომლებიც თვალსაჩინოებასთან ერთად წარმოადგინეს. ასევე, საინტერესო იყო ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლის ***მარიამ ხარებაშვილის*** მიერ წარმოდგენილი თემა, რომელიც ზემო ყანდაურაზე მოგვითხრობდა საინტერესო მასალით (ხელმძღვანელი ***ელისო ელიზბარაშვილი***), მანავის საჯარო სკოლის მოსწავლის ***ლიზი ტაპატაძის*** მიერ წარმოდგენილი თემა მანავის ისტორიას მოგვითხრობს, ხოლო პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის მოსწავლის ***ნინო გრძელაშვილის*** თემა – პატარა ჩაილურის ისტორიას (ხელმძღვანელი ***ნათია ჯავახიშვილი***).

ჟიურის თავმჯდომარემ აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დირექტორმა **ბესიკ ღვინაშვილმა** კონკურსში მონაწილე სკოლების დირექტორებს, თემების ხელმძღვანელებსა და მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა, ამასთან, ყურადსაღები იყო ის მოწონებები და შენიშვნები, რაც საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის ისტორიის ყოფილმა პედაგოგმა, ჟიურის წევრმა ქ-ნმა **ლია გოგნიაშვილმა** გამოთქვა კონკურსის მასალების შეჯამებისას.

ზემოთაც გითხარით, რომ ყველა თემა-ნაშრომი საუკეთესოდ იყო წარმოდგენილი, მათგან კი სრულყოფილად სოფლის ისტორიის, წარსულის, ახლო წარსულის და დღევანდელობის შესახებ ასევე, გამოირჩეოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წყაროსთავის საჯარო სკოლის (მენეჯერი **მაია ნადირაძე**), (ხელმძღვანელი: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **დარეჯან კერატიშვილი)** მოსწავლეთა ლიტერატურული კლუბის „კარგი მკითხველის“ წევრების, ამავე საჯარო სკოლის VIII-IX კლასის მოსწავლეების **ანა გაგნიაშვილის, ნიკა დათუნაშვილის, ანი ონაშვილის, ქეთი გაგნიაშვილის, ქეთი ჩერქეზიშვილის, გიორგი კერატიშვილის, ია კერატიშვილის, საბა ბეჟიტაშვილის, დათა დათუნაშვილის, თემო ლაღაძიშვილის** ნაშრომი, აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ სოფელი წყაროსთავი თითქოს პატარა სოფელია, მაგრამ საკმაოდ დიდი, საინტერესო ისტორიითა და სოფლის საამაყო შვილებით.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი თვალსაჩინოებით, ფოტოებით მდიდარი მასალა მოგვითხრობს სოფლის სახელის წარმოშობის შესახებ.

„არ ვიცით, როდის დაარსდა წყაროსთავი, მაგრამ ვიცით, რომ მას „ახბულახი“ ერქვა, რაც კარგ წყალს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, სავარაუდოდ, მე-17-მე-18 საუკუნეში სოფელს თავს დასხმიან „ყიზილბაშები,“ რომელთაც სოფლის აკლების შემდეგ დაულევიათ იქ არსებული წყაროს უგემრიელესი წყალი და გაოცებულებს უთქვამთ: რა კარგი წყალიაო. სწორედ ამის შემდეგ დარქმევია სოფელს „ახბულახი“ – კარგი წყალი.

სოფელს წყაროსთავი ეწოდა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში. საგარეჯოს რაიონს ერთი პერიოდი ხელმძღვანელობდა რაიკომის მდივანი – ნადაშვილი. მას ერთ დღეს შეატყობინეს, რომ შესამოწმებლად ჩამოდიოდნენ პირები ზემდგომი ორგანოებიდან. მან ახბულახის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კონსტანტინე (კოტე) კერატიშვილი დაიბარა და უთხრა, რომ პურ-მარილი გაემზადებინა და შემოწმების შემდეგ სოფლის მიდამოებში სუფრა გაეშალა. კერატიშვილმა ეს დავალება შეასრულა, სოფლის ახლოს, წყაროს პირას სუფრა გაშალა... სტუმრებმა წასვლის წინ იკითხეს, რატომ ერქვა სოფელს ახბულახი და თანაც შესთავაზეს, ასეთი კარგი წყაროს წყალი გაქვთ და სოფელს წყაროსთავი დაარქვითო. რჩევა მიიღეს, მაგრამ ამის შემდეგ ეს სოფელი ორივე სახელით მოიხსენიებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1949 წლის 13 ოქტომბერს, საგარეჯოს რაიონული აღმასკომის სხდომაზე შეიმუშავეს დადგენილება – ახბულახს წყაროსთავი დარქმეოდა.

ნაშრომში, ასევე, საინტერესოდაა წარმოდგენილი სოფელში არსებული წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის , „დრეიძის“ წმინდა გიორგის სალოცავის, სვეტიცხოვლის სახელობის ტაძრების დაარსების, აგებისა და დანიშნულების შესახებ.

ნაშრომში ვეცნობით ყველაზე ცნობილ და საპატიო წყაროსთაველებს, მათ ბიოგრაფიებს, დამსახურებებს სოფლისა და საქართველოს მიმართ. ასე, მაგალითად, აქ ვრცლადაა წარმოდგენილი **მიტროპოლიტ გაიოზის** (ერისკაცობაში ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი) ბიოგრაფია. აქვეა წარმოდგენილი მიტროპოლიტ გაიოზის ლექსიც. ასევე, წარმოდგენილია ჭიდაობა სამბოში სსრკ-ს სამგზის ჩემპიონი, სამგზის ევროპის პრიზიორი, საკავშირო და საერთაშორისო ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებული, ქართულ ჭიდაობაში საკავშირო და საერთაშორისო სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, აქვს საპატიო წოდება სამბოში, ძიუდოში, საქართველოს სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოს მწვრთნელის **ნუკრი (ნიკოლოზ) გაგნიაშვილის** ბიოგრაფია, რომელსაც საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა სერგეი ელისეევმა „შეჯიბრების მეფე“ უწოდა და იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. ნაშრომი გვაცნობს საქართველოს, მოლდოვისა და ლატვიის საფეხბურთო გუნდების წევრს, საგარეჯოს საფეხბურთო კლუბ „გარეჯის“ მენეჯერს **ლაზარე (ლადო) დათუნაშვილს**, მის ბებიას, წყაროსთავისა და ნინოწმინდის ყოფილ ექიმს **ელიკო კვეზერელს.** საინტერესო მასალაა წარმოდგენილი წყაროსთავის საჯარო სკოლის შესახებ, რომელსაც მიმდინარე წელს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. აქვეა მოხსენებული იმ პიროვნებების გვარები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წყაროსთავში სკოლის დაარსების შემდეგ კი წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ პედაგოგებად და სკოლის დირექტორებად.. ასევე, ვეცნობით სასიხარულო ინფორმაციას – 2024 წელს საბავშვო ბაღის ახალი შენობა აშენდება, რადგან 12 წლის წინ აშენებული შენობა ვეღარ აკმაყოფილებს აღსაზრდელთა გაზრდილ კონტიგენტს.

ნაშრომი გულთბილად მიიღო ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებამ და წყაროსთაველი ქეთევან კერატიშვილის ლექსი „ჩემი სოფელი წყაროსთავი“ ერთგვარ სამომავლო გზავნილად, რომ კვლავაც ფუძძლიერი იქნება სოფელი წყაროსთავი:



არ ავსებულა კვლავაც,
აქ კერატიანთ ხევი,
არ დაქცეულა კვლავაც,
ღვთისმშობლის წმინდა ბჭენი;
ისევა ცოცხლობს ჯერაც,
წმინდა სისხლი და გენი;
კვლავ მეჩემება, კვლავაც,
ჩემი კორდი და ტყენი...

## ჩემი ოჯახის რელიქვია

**პატარძეულის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ მარიამ ადამაშვილმა კონკურსში მეტად საინტერესო თემა „ჩემი ოჯახის რელიქვია“ წარმოადგინა, რომელმაც ჟიურისა და მსმენელის მოწონება დაიმსახურა.**



**1921 წლის** შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა .მართალია,ეს წლები მეტად სასტიკი და შემზარავი იყო ,მაგრამ დრომ მაინც მივიწყებას გადასცა. ჩემი მიზანი სწორედ მივიწყებული ისტორიის აღდგენაა, რომელსაც მრავლად ინახავს, როგორც ჩემი სამშობლო,ასევე ჩემი ოჯახი.

ჩემი დიდი ხნის სურვილი არის, რომ ჩემი ოჯახის და ოჯახის რელიქვიის შესახებ ადამიანებს გაეგოთ,თუ რა ისტორიის მქონე ნივთს ვფლობთ და ვინ იყო ჩემი წინაპარი.

სწორედ ამ სურვილმა მიბიძგა,რომ ამომწურავად შემესწავლა ჩემი წინაპრის ისტორია. კვლევა მეტად საინტერესო და წარმატებული აღმოჩნდა,ვიდრე მე მეგონა.ამაში თქვენც დამეთანხმებით,როდესაც გაიგებთ რამხელა ისტორიას ატარებს ჩემი ოჯახი.

მიზნის განსახორციელებლად გავესაუბრე ოჯახის უხუცეს წევრს, გავეცანი ინფორმაციებს და შევქმენი თემა, რომელიც უკვე თქვენს წინაშეა და ვფიქრობ ჩემს მიერ გაცოცხლებული ისტორია თანატოლებს გაუღვივებს პატრიოტულ სულისკვეთებას და წინაპართა უკვდავყოფას მათ გულებში.

თემაში მოცემული არის ჩემს მიერ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოგითხრობთ ოჯახის იდუმალებით მოცული რელიქვიის და მისი შემქნელის შესახებ, რომლემაც თავი შესწირა სამშობლოს კეთილდღეობას- „ გული სამშობლოს, ხოლო სული ღმერთს მიუძღვნეს ".

ჩემს ოჯახში არის ერთი ნივთი, რომელიც თვალსაჩინო ადგილზე დევს, ამ ნივთზე ამბობენ, რომ ბევრი რამის მთქმელიაო და ოჯახის რელიქვია არისო. მოწიწებით ეპყრობა დიდი თუ პატარა. ყოველთვის მაინტერესებდა თუ რა ისტორიის მატარებელი იყო ეს ერთი შეხედვით უბრალო,სავარაუდოდ ჩვეულებრივი საქონლის ძვალი, რომელზედაც დახატულია მეტეხის ციხე. ამომწურავი ინფორმაცია მინდოდა მომეპოვებინა და ამიტომ ოჯახში ყველაზე მხცოვან წევრს, ბებიას მივმართე დახმარებისთვის.

***- ვის ეკუთვნდა ეს ძვალი?***

– ეს ძვალი შენი დიდი პაპის-დიმიტრი სოლომონის ძე ჯიღაურის გაკეთებულია მეტეხის ციხეში პატიმრობის დროს.ამ ძვალზე არის დახატული მეტეხის ციხე,უფრო დიდი ყოფილა ნახატი,მაგრამ შენი დიდი ბებია ეკატერინე ნინოშვილი სანთელს ანთებდა თურმე ამ ძვალზე და დამწვარა .წერია კიდეც: „ჩემი პატიმრობის მოსაგონებლად 1924-1927"

***– ბებო, მომიყევი დიმიტრი პაპაზე ყველაფერი,რაც იცი,რატომ დაიჭირეს?***

– დიმიტრი პაპა 1889 წლის 14 სექტემბერს დაიბადა გლეხის, სოლომონ ივანეს ძე ჯიღაურის ოჯახში. ჰყავდა ოთხი ძმა და ორი და. 1905 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სასწავლებელში.1910 წ. გაიწვიეს მეფის ჯარში, მონაწილეობდა მეფის რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში. გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ფინეთში, იქ ოჯახიც შეუქმნია,ჰყავდა ქალ-ვაჟი. სამწუხაროდ, ჩვენ მათთან ურთიერთობა არ გვაქვს.1917 წლის რევოლუციის შემდეგ, დაახლოებით 1920-21 წ.წ. იგი აიძულეს რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო.1921 წ. დაოჯახდა.აქედან იწყება პაპას გაუთავებელი დაჭერები.

საქმე იმაშია, რომ პაპა მენშევიკი იყო, ვერ ეგუებოდა საბჭოთა წყობას,რომელიც ზუსტად 1921 წელს შემოიჭრა საქართველოში და დაიპყრო.დაიღუპა ასობით სამშობლოს სიყვარულით შეპყრობილი ადამიანი. პაპაც ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩართული. 1921 წელს დაიჭირეს, გამოვიდა 1923 წელს და ისევ ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში.როდესაც ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის მოხალისეებს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩუდგა სათავეში,პაპაც მონაწილეობდა სხვა პატარძეულელებთან ერთად .

ამბობენ ჩოლოყაშვილს შეფიცულები თავად ქაქუცას მეთაურობით გარკვეული დროის განმავლობაში პატარძეულში-ამჟამად ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტერში იმალებოდნენ. აჯანყებამ 1924 წელს იფეთქა,ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ იგი სისხლში ჩაახშო. ბრძოლას ათასობით ქართველი შეეწირა.პაპა დაიჭირეს და ზუსტად ამ წლების მოსაგონებელი არის ეს ძვალიც, აქვე მინდა გითხრა,რომ პაპასთან ერთად ციხეში მჯდარა შალვა დადიანი,ისინი ძალიან დაახლოვებულან. ალბათ შემოქმედებითმა ნიჭმა დააახლოვა.პაპა ლექსებს წერდა და ზღაპრებს და უზიარებდა მას.სამშობლოს ავზე თუ კარგზე საუბრობდნენ. ისინი ისე დამეგობრდნენ, რომ მერეც გაუგრძელებიათ ერთმანეთთან ახლობლობა,მიწერ-მოწერა,მისვლა-მოსვლა. სამწუხაროდ, არც წერილები და არც სურათები გვაქვს შემორჩენილი.ის ყველაფერს ანადგურებდა იმიტომ,რომ ავიწროვებდნენ და ყველაფერი შეიძლებოდა დაჭერის მიზეზი გამხდარიყო.

***–ბებო,რატომ გახდა პაპა „მენშევიკი“, რა გარემოებამ აიძულა?***

– დიმიტრი პაპა განათლებული კაცი იყო,იცოდა წერა-კითხვა, რაც იმ დროისთვის ძალიან იშვიათი იყო. აქედან გამომდინარე, მან კარგად იცოდა საბჭოთა წყობას რამდენი ცუდის მოტანა შეეძლო თავისი სამშობლოსთვის და თითოეული ქართველისთვის,თან იგი ხომ ცნობილი მენშევიკის მიხაკო (ჩიბრეული) ჯიღაურის ძმა იყო. რა იდეოლოგიით იზრდებოდა ხომ წარმოგიდგენია. გაკულაკება რომ დაიწყეს საქართველოში,პაპას სამჭედლო ჰქონდა და ჩამოართვეს, ისედაც ვერ იტანდა ამ ბარბაროსულ საბჭოთა წყობას. შენ ხომ ხედავ დღეს XXI-საუკუნეში რა პოლიტიკას ატარებს საქართველოსთან მიმართებაში, დღესაც იგივე კურსი აქვსარჩეული.

***– როგორ დატანჯულა დიმიტრი პაპა. რამდენჯერ დაუჭერიათ. კიდევ რა შეგიძლია მითხრა მის შესახებ?***

–1927 წლის შემდეგ კიდევ დაუჭერიათ,წელი ზუსტად არ მახსოვს.რეპრესიების დროს 1937 წელს სოფლის თავმჯდომარე ყოფილა არჩილ პარუნაშვილი,რომელსაც შეუდგენია დასაჭერ ხალხთა სია,სადაც დიმიტრი პაპაც ჩაუწერია. ყოფილა სოფელში ვინმე ონაშვილი გიორგი (ბულკიაანთი),მოსულა და გაუფრთხილებია შენი დიდი ბებია,რომ პაპა დამალულიყო,ის არ დამალულა და 1937 წელს დაუჭერიათ. მიუსჯიათ დახვრეტა,მაგრამ შემდეგ დახვრეტა გადასახლებით შეუცვლიათ და ციმბირში გადაუსახლებიათ.იქიდან ცოცხლები იშვიათად ბრუნდებოდნენ,ამიტომაც ასახლებდნენ იქ,მაგრამ პაპა დაბრმავებულა ამიტომ გაუთავისუფლებიათ,1946 წლის დასაწყისში დაბრუნებულა დატანჯული და გაუბედურებული.

***- ბებო შენ ხომ გახსოვს პაპა,რას გიყვებოდათ მისი ცხოვრების შესახებ?***

– მახსოვს,ისეთი ლამაზი ქართულით საუბრობდა,ისეთ ზღაპრებს უყვებოდა ბიძაშენს, რომ მეც გულდასმით ვუსმენდი.ზოგი თავისი მოგონილი იყო,თავის დაწერილ ლექსებს გვიკითხავდა და ხალხურ თქმულებებს.ძალიან კარგი მოსაუბრე და ძალიან განთლებული იყო.ოთხნიშნა-ხუთნიშნა ციფრებს ზეპირად ამრავლებდა და არ ცდებოდა. თავის თავგადასავალზე საუბარი არ უყვარდა თუ ვინმე რამეს კითხავდა,გაჩუმდებოდა და თავს დახრიდა. სამშობლოს ჭირ-ვარამზე კი ბევრს გვიყვებოდა. ბრმა იყო და საუბარი მისთვის ყველაფერი იყო, რადგან საქმეს ვერ აკეთებდა. არც ამ მდგომარეობაში ასვენებდნენ.მაშინ მომრავლებულნი იყვნენ ანონიმური დამსმენები,უჩიოდნენ, რომ მავნებელია,ქვეყნის მტერი. მოუხსნიდნენ პენსიას,მერე დაუნიშნავდნენ,მერე ისევ უჩიოდნენ-მოუხსნიდნენ და ასე აწამებდნენ გარდაცვალებამდე.

1976 წელს გარდაიცვალა.გულდაწყვეტილი და სევდიანი წავიდა ამ ქვეყნიდან.ის ვერ მოესწრო ვერც სამშობლოს სისხლისმსმელთაგან განთავისუფლებას,ვერც შვილების დაჯაჭვება ნახა საკუთარი თვალით და არ უნახავს არცერთი შვილიშვილი.რამდენი დარდი და ბოლო უთქმელი ვარამი ჰქონდა გულში ჩამარხული. მახსოვს სულ მარტო იჯდა და ფიქრებში იყო.



# ახალგაზრდობა, იმედი ხვალის!
## „მიეცი ნიჭსა გზა ფართე!“
## შესაძლებლობებს ხელი შევუწყოთ!



**გასული** წლის აგვისტოში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალგაზრდული კომიტეტის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადება ერთობ მნიშვნელოვანი, ახალი საქმეების წამოწყების ნიშნად მიიღო ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ და ბევრი მათგანი აქტიურად ჩაერთო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ის, რომ ახალგაზრდული კომიტეტი ნამდვილად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ამან უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია. და, აი, იანვრის ბოლო დღეებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერთან და მის მოადგილეებთან შეხვედრისას ახალგაზრდებმა საინტერესო ინიციატივაც გააცნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

შეხვედრაში მონაწილეთაგან ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან:



### ზურაბ მეკოკიშვილი

***დაიბადა** სოფელ გიორგიწმინდაში 2000 წელს. 2019 წელს დაამთავრა გიორგიწმინდის საჯარო სკოლა. სამომავლო პროფესიის არჩევა ზურაბს არ გაჭირვებია, რადგან ბავშვობიდან პოლიტიკით, საზოგადოებასთან ურთიერთობებით და საჯარო სივრცეში გამოჩენით იყო დაინტერესებული, ამიტომაც სამომავლო პროფესიად საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია აირჩია. 2019 წელს სწავლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე გააგრძელა. მალე უნივერსიტეტში დაარსებულ „პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბის“ საორგანიზაციო საბჭოს წევრადაც აირჩიეს, სადაც უამრავი აქტივობები ჩაატარა კონფერენციასთან ერთად. ლექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, როგორც წარჩინებულ და აქტიურ სტუდენტს პირველ კურსზევე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის ჯილდო – სტიპენდია გადაეცა. როგორც ჩვენთან საუბარში გვითხრა ზურაბმა: — პროფესიით დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობები არის ის სფერო, საიდანაც შეგიძლია დიდი წვლილი შეიტანო შენი ქვეყნის პოპულარიზაციაში საზღვარგარეთ და მსოფლიოს გააცნო შენი სამშობლო, დაიცვა მისი ინტერესები საერთაშორისო არენაზე, მით უმეტეს ისეთი კულტურის, ტრადიციების, ისტორიული წარსულის ქვეყანა, როგორიც საქართველოა.*

*ზურაბ მეკოკიშვილმა 2023 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და უნივერსიტეტის 10 საუკეთესო კურსდამთავრებულთა შორის ნომერ პირველი ადგილი აიღო სადიპლომო გამოცდებზე ყველა საგანში მიღებული 100 ქულით.*

*დღეს ზურაბი საქართველოს ეროვნულ გვარდიაში იხდის თავის მამულიშვილურ მოვალეობას.*

– **მოხარული** ვარ გაცნობოთ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ბატონი **ავთანდილ გულიკაშვილის** გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა მერიის „ახალგაზრდული კომიტეტი“, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი თვითმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიმაჩნია, რომ ეს ნამდვილად დროული და აუცილებელი საკითხია, რამეთუ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს, უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, თუ როგორ მუშაობს მისი ხელმძღვანელობა, რა გადაწყვეტილებებს იღებს ის მოქალაქეთა საკეთილდღეოდ, რას გეგმავს და რის განხორციელებას აპირებს. ეს ნამდვილად დემოკრატიული პროცესია, მითუმეტეს, ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა, რადგან ვიცით, რომ როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ქვეყნის საყრდენს სწორედ მომავალი თაობა წარმოადგენს და წლების შემდეგ მათ უნდა გადაიბარონ ქვეყნის მართვის სადავეები, შესაბამისად, მომზადებული, ჩამოყალიბებული და განსწავლული უნდა იყოს ახალგაზრდობა, რომელიც ერკვევა და იღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტის მართვაში, ვფიქრობ, წაადგება როგორც ჩვენს ქალაქს, ისე სრულიად ჩვენს ქვეყანას. ჩვენი მუნიციპალიტეტის მერი ახალგაზრდების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევა და ცდილობს თითოეულ აქტიურ, წარმატებულ პიროვნებას გვერდით დაუდგეს, დააფასოს მისი შრომა. ჩემთვის ნამდვილად სასიხარულო იყო ის, რომ რამდენიმე თვის წინ პირადად მიმასპინძლა, დაინტერესდა ჩემი აქტიური მოღვაწეობით საუნივერსიტეტო სივრცეში და დამაჯილდოვა, რამაც მომცა მოტივაცია და გამიღვივა სურვილი კიდევ უფრო მეტი ვაკეთო და გამოვაჩინო ჩემი მუნიციპალიტეტი მის ფარგლებს გარეთ. ჩემი, როგორც ამ კომიტეტის წევრის მთავარი ფუნქცია იქნება ის, რომ აქტიურად ვიმუშაო ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების, მოსწავლეების, სტუდენტების (და არა მარტო) ინიციატივებისა თუ სხვადასხვა საჭიროებების დღის წესრიგში დაყენებისთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში. პირველივე სამუშაო შეხვედრაზე ვგეგმავ გავაჟღერო მნიშვნელოვანი საკითხები, ახალგაზრდული მიმართულებით ჩასატარებელი აქტივობები და სხვა. ამდენად, ვფიქრობ, რომ აუცილებელია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა და დაინტერესება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიმდინარე საქმიანობაში. ***იქ, სადაც მომავალი თაობის აზრს ითვალისწინებენ, აფასებენ და მხარს უჭერენ, მომავალიც უკეთესი იქნება.***

### მარიამ ოზგელდაშვილი

**დაიბადა** 2005 წელს, ქალაქ საგარეჯოში.

***სწავლობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, პარალელურად მუშაობს ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში საზოგადოებასთან ურთიერთობის, ასევე IT სპეციალისტად***

– მე ვგრძნობ პასუხისმგებლობას ჩემი ხალხის წინაშე, მე ვიქნები მათი ხმა კომიტეტში, რომელიც ყოველთვის გააჟღერებს ყველა იმ პრობლემას და საინტერესო ინიციატივას, რაც უფრო საინტერესოს და მშვიდობიანს გახდის ჩვენი მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობას.

ვფიქრობ, ჩემი პირველი ინიციატივები სწორედ ამ საკითხებს შეეხება. ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, თუმცა, საგარეჯოელ ახალგაზრდებს ძალიან გვჭირდება სივრცეები, ლიტერატურული კლუბები, ადგილები, სადაც ერთმანეთთან ხშირი და საინტერესო კომუნიკაცია გვექნება, მოვუსმენთ ერთმანეთს, იდეებს გავცვლით, ბევრ საინტერესო აქტივობას დავგეგმავთ. ეს იქნება განტვირთვის და ჯანსაღი კომუნიკაციის ცენტრი. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენი პირველი ნაბიჯები ასეთი სივრცეების დასაგეგმად უნდა გადავდგათ.

ასევე, მოუგვარებელი პრობლემაა ძაღლებით სავსე ქუჩები, ამიტომ ჩვენს სამუშაო შეხვედრაზე გავაჟღერებ პროექტს მიუსაფარი ძაღლებისთვის.



### მიხეილ ჭიაბერაშვილი

– **მე** ვარ მიხეილ ჭიაბერაშვილი – 18 წლის, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდიდან. ბავშობიდანვე აქტიურად ვარ ჩართული საზოგადო ცხოვრებაში , მიყვარს ხალხთან კომუნიკაცია და ბევრი საქმის კეთება. პირველი ჩემი მცირე გამარჯვება იყო მე-4 კლასში, როცა კლასში საუკეთესო მკითხველად დამასახელეს, შემდეგ იყო საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც 2012-2013 წლიდან დავდივარ და დღემდე მქონდა მრავალი დაჯილდოება. პირველ ეტაპზე – ბავშვი ვიყავი, შემდეგ – ლიდერი, წამყვანი, ორგანიზატორი მოდელირებების და დღემდე აქტიურად ვარ მათთან. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩემი სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი მიმიძღვის. ჩემი მასშტაბური ღონისძიება იყო „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მქონდა გარე სივრცეში. მონაწილეობას იღებდა 26 ახალგაზრდა. ჩემი სკოლის თვითმართველობის თავმჯდომარე ვიყავი 1 წელი და აქტიურად ვანხორცილებდი პროექტებს. მათ შორის დასუფთავების აქცია, ინტელექტთამაშები. სკოლის და რაიონის გარდა ვწერდი სტატიებს tia.ge ცნობილ საგარეჯოელებზე მათ შორის . მარინა ურდულაშვილი, თამარ ჯაბადარი და ა.შ ამ სფეროს გარდა კიდევ ვარ „წითელი ჯვრის“ მოხალისე , დამთვრებული მაქვს 1 წლიანი access ინგლისურენოვანი ენა, რომლის დაჯილდოებაც ამერიკის საელჩოში იყო. რომ შევაჯამო – დღემდე აქტიურად ვმოღვაწეობ ჩემს რაიონში, დავდივარ თეატრში ირაკლი კოჭლამაზიშვილთან, ვარ მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული საბჭოს წევრი , მორიგი ბოლო მცირე წარმატება იყო ის, რომ 27 დეკემბერს საგარეჯოში, საახალწლო ზეიმის წამყვანი ვიყავი.

# შემეცნებითი და სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული კომიტეტის წევრებთან

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით და მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილებისა და განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ერთობლივი ორგანიზებით, მერიის დარბაზში, აბრეშუმის გზის კულტურის ჰაბის „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმის“ პირველი საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში, ტრენინგი გაიმართა.

*დასასრული მე-8 გვერდზე*







# დიდი დავითის მოსახელენი

## დიდი პაპების კვალდაკვალ

**1998 წელს** საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის იურიდიულ კოლეჯში „მერმისში" განაგრძო სწავლა, სწავლის დასრულების შემდეგ კი სავალდებულო სამსახურიც მოიხადა – ლაგოდეხში – სასაზღვრო პილიციაში, იყო ევროპის უსაფრთხოების დაცვის სამსახურშიც მეთაურის თანაშემწედ ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში, ასევე, ეუთოს დაცვაში.



შემდეგ კი, თითქმის საბოლოოდ დაუბრუნდა მშობლიურ კერას – საგარეჯოში, ბურჯანაძეების გვარის გამგრძელებელი **დავით ბურჯანაძე**, ხელოვნებასთან შეჭიდებული ახალგაზრდა.

***– როგორ მოხვდით ბურჯანაძეები საგარეჯოში?*** –ვეკითხები დათოს

– ჩემი დიდი პაპა ბაღდადის რაიონის სოფელ ობჩაში ცხოვრობდა თურმე. ერთ დღეს გაუგიათ და გადაუწყვეტია ოთხ ძმას, მათ შორის ჩემს დიდ პაპასაც, რომ კახეთში, საგარეჯოს რაიონის სოფელ ანთოკში მოიპოვება სამეთუნეო თიხა, რომელიც თავისი თვისებებით საუკეთესოთა შორის საუკეთესო ყოფილა, რადგან მისგან დამზადებულ ქვევრებში ღვინო კარგად ინახებოდა და დაგემოვნებისას ღვინო რაღაცნაირად, განსხვავებული გემოთი აღიქმებოდა. მაშინ ტრანსპორტი ჭირდა თურმე და წარმოიდგინეთ, ობჩიდან საგარეჯომდე ჩამოსვლას 4 დღე დასჭირდა, შეხვედრიან აქაურ მეთუნეებს, უნახავთ თიხა და ისე მოსწონებიათ, იქვე, გიორგიწმინდაში დაუდვიათ ბინა, აუშენებიათ სახლები და აქ დამკვიდრებულან მეთუნეებად. ოთხ ძმას, რა თქმა უნდა, შვილები, შვილიშვილები შეეძინათ... შემდეგ კი პაპაჩემი გიორგიწმინდიდან წამოსულა საგარეჯოში, სათავის უბანში დასახლებულა და დღეს მისი გვარის გამგრძელებელი მე ვარ. ისე კი, დიდი პაპის დავითის სახელი მქვია.






***– არ ახალია, ვთქვათ, რომ ყოველ ადამიანში წინაპართა გენი დევს და ადრე თუ გვიან თავს იჩენს. დათო, კონკრეტულად რა ნიჭი, მისწრაფება გამოგყვა ბურჯანაძეებისგან?***

– როგორ აგიხსნათ... ერთ დღეს სახლიდან გორაზე წავედი. გზადაგზა ისეთი ლამაზი ყვავილები მხვდებოდა, ცდუნებას ვერ გავუძელი და დავკრიფე. უკან დაბრუნებულს ხელში ყვავილების საკმაოდ ლამაზი თაიგული და კენკრის ნაკრები მეკავა. დამენანა გადასაყრელად, უცებ გავაკეთე მუყაოს ქაღალდისგან კალათა და შიგ ლამაზად განვათავსე.. სიმართლე გითხრათ, ისე მომეწონა, სურვილი გამიჩნდა კიდევ გამეკეთებინა. ვაკეთებდი ასეთ კალათებს და ბებო – ელენე როსტიაშვილი მეხმარებოდა რეალიზაციაში. ისე, გადაყრილი, უსარგებლო ნივთებიდან ახალ ნივთებსაც ვაკეთებდი. მივხვდი იმასაც, რომ მუყაოსგან გაკეთებული კალათები მოსწონდათ საგარეჯოელებს, მაგრამ ხისგან გაკეთებული უფრო ლამაზი იქნებოდა.... აქაც მოვსინჯე ძალები და ჩემმა ნახელავმა მოწონება დაიმსახურა... მალე გამიჩნდა სურვილი, რაღაც პროფესიას დავუფლებოდი და დავიწყე კიდეც ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტყავის აქსესუარების და მანქანის ნაწილების შეკეთების შესწავლა. რატომღაც ტყავის აქსესუარებმა დამაინტერესა და საამისოდ საჭირო ხელსაწყოებიც შევიძინე. მინდა გითხრათ, რომ ამ პროფესიამ უამრავ ადამიანთან დამამეგობრა...




***– და რას აკეთებ ტყავისაგან?***

– ტყავი ძალიან საინტერესო მასალაა, ის თვისობრივად თითქოს დადებითი ენერგიის მატარებელია, ისევე, როგორც თიხა. ტყავისგან ვაკეთებ ქამრებს, საფულეებს, სამონადირეო აქსესუარებს, ბავშვებისა და მოზრდილებისათვის სამაჯურებს. ტყავის საფულეზე ერთობ დიდი მოთხოვნაა ემიგრანტებიდან. ვაგზავნი საბერძნეთში, იტალიაში, ამერიკაში და როგორ მიხარია, როცა იქიდან ჩვენი ემიგრანტები სამადლობელ სიტყვებს მწერენ.



მაგრამ არ შემიძლია ახლა, ჩვენი საუბრისას, გულითადი, უღრმესი მადლობა არ ვუთხრა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერს* ქეთი ბრატიაშვილს,** რომელმაც მომძებნა (და არა მარტო მე), მომცა საშუალება, ჩემი ნახელავი გამომეფინა საგარეჯოში გამართულ სახალხო თუ საახალწლო ზეიმებზე, წარვმდგარიყავი საგარეჯოელების წინაშე და გამეცნო ის შემოქმედი ადამიანები, რომელთა ნახელავმაც ამ გამოფენებზე მარტო მე არ განმაცვიფრა. დიახ, თუ არა **ქეთი ბრატიაშვილი**, თუ არა ***მუნიციპალიტეტის მერის* ბატონი ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით გამართული ეს ზეიმები, მე ალბათ ისევ ჩემს პატარა, ვიწრო წრეში ვიქნებოდი დღესაც. მე აქ, ამ გამოფენებზე მეტი მოტივაცია გამიჩნდა – დავხვეწო ჩემი ოსტატობა, გავითვალისწინო მომხმარებელთა გემოვნება.




***– გარდა ტყავზე მუშაობის, თუ გაქვს კიდევ სხვა ინტერესი, ან რას აპირებ სამომავლოდ, იქნებ გაგვიმხილო გეგმები...***

– როგორ გითხრათ, ტყავზე მუშაობა ყველა ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს, ავსებს ენერგიით. გადავწყვიტე, ჩემი ხელით გაკეთებულ ტყავის აქსესუარებს შევმატო ტყავის სამაჯურებით გაწყობილი საათები. დღეს მოდაშია ძალიან, ამასთან, სოციალურმა ქსელმა უფრო მეტი მომხმარებელი მოიზიდა და შეკვეთები ძალიან მომრავლდა.

და კიდევ, მიყვარს ლექსების კითხვაც და მოკრძალებით გეტყვით – წერაც. მე თავს ვერავის მოვახვევ ჩემს ლექსებს, მაგრამ ვკადნიერედები და სოციალურ ქსელში ვამზეურებ. ამ ყველაფერთან ერთად, მიყვარს ძერწვა, ხატვა.

მომავალს იმედით ვუყურებ, გაზაფხულზე ქეთი გრატიაშვილის დახმარებით კვლავაც შევძლებ საგარეჯოელ შემოქმედ ადამიანებთან ერთად წარმოვაჩინო ჩემი შემოქმედება.

***– წარმატებებს გისურვებ!***

## ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა



**დავით** პასიკაშვილი იმ მრავალთაგან ერთ-ერთია, რომლებიც ქართველთა დიდი მეფის, საქართველოს გამაერთიანებლისა და აღმაშენებლის – დავით-IV-ის სახელს ატარებს. იცის, რომ 8 თებერვალს მისი სახელობის დღესასწაულია და ეამაყება თავისი დიდი წინაპარი სეხნიის მოსახელეობა. მართალია, ჯერჯერობით ჩვენი დიდი მეფის დარად ძალები არ შესწევს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეო საქმეების საკეთებლად, მაგრამ გადაწყვეტილი აქვს მომავალში უსათუოდ თქვას თავისი სიტყვა ამ საქმეში და ამას სპორტში, კერძოდ, კრივში მიღწეული წარმატებებით აპირებს, რომ შორს, მსოფლიო დონეზე გაუთქვას სახელი ჩვენს ქვეყანას. ხომ გაგიგიათ, თუ კაცმა მოიწადინა, მთას ადგილიდან დაძრავსო, ჰოდა, დაველოდოთ მომავალს...

მანავში თამაზი პასიკაშვილის მშრომელ ოჯახში მოევლინა ამ ქვეყანას ჩვენი მომავალი დიდი მოკრივე და სწავლის მისაღებად მშობლებმა მანავის საჯარო სკოლაში შეიყვანეს, სადაც თავის თანატოლებთან ერთად ყოველდღე მიკროავტობუსით მიემგზავრება . არადა, 2012 წლამდე მათი დასახლების მოსწავლეებს სკოლაში მისასვლელად აქეთ-იქით ყოველდღიურად 7-8 კილომეტრის გავლა ფეხით უწევდათ. ახლა ის უკვე მეცხრე კლასის მოსწავლეა და მიუხედავად სპორტსმენობისა, მაინც უხარია ეს კომფორტული მგზავრობა. რაც შეეხება კრივს, ეს ინტერესი სამი წლის წინ აღმოაჩინა თავის თავში და სავარჯიშოდ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების" ახლადაღორძინებულ კრივის სექციაში, თავადაც ამ სექციაში აღზრდილ კრივის მწვრთნელ **გიორგი კოხტაშვილთან** შევიდა. ცოტა ხანი საგარეჯოს შპს „მექანიზატორის" კუთვნილ შენობაში ივარჯიშა, შემდეგ კი ქალაქის მერიის შენობაში ამოინაცვლეს და დღემდე იქ აგრძელებს ვარჯიშებს. დროდადრო სხვადასხვა ამხანაგურ შეხვედრაშიც უწევდა ჩხუბი, რაც საუკეთესო საშუალებაა პროფესიული გამოცდილების შესაძენად. ჰქონდა მეტ-ნაკლები მიღწევები, მათგან დღემდე ახსოვს თავისი პირველი წარმატება თელავის რინგზე, სადაც 43კგ წონით კატეგორიაში დაამარცხა იქაური მოკრივე, თანაც ეს კრივში ვარჯიშის დაწყებიდან 4-5 თვის თავზე მოახდინა, რამაც მეტი სტიმული მისცა მის მისწრაფებებს. ყველაზე შედეგიანი კი მისთვის გასული, 2023 წელი გახლდათ, როცა 7-12 აპრილს მონაწილეობა მიიღო მარნეულში გამართულ მოსწავლე-მოკრივეთა შორის და შეძლო II ადგილის და ვერცხლის მედლის მოპოვება.

– საქართველოს ჩემპიონატში 63 კგ წონით კატეგორიაში ვიღებთ მონაწილეობას, – მიყვება რედაქციაში სტუმრად მყოფი დავითი, – სულ მომიხდა სამი ორთაბრძოლის ჩატარება და პირველი ორი, თბილისელ მოწინააღმდეგესთან ჩემს სასარგებლოდ დავასრულე, მესამეში კი არ გამიმართლა და დავმარცხდი ახალქალაქელ მოკრივესთან.

***– გარეჯელი სპორტსმენების საქმიანობის შესახებ ჩვენი გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს მასალებს და რამდენადაც მახსოვს, მგონი შარშან ბათუმშიაც გქონდა რაღაც შეხვედრაში მიღებული მონაწილეობა...***

– ეს იყო 19-23 ივნისს მოსწავლე-მოკრივეებში გამართულ ირაკლი აბაშიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი, სადაც კვლავ II საპრიზო ადგილზე გავედი.

***– როგორია შენი ახალი, 2024 წლის სამომავლო გეგმები?***

– სულ უახლესი – 20 თებერვლიდან ტრადიციულად მარნეულში, ტარდება საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლე-მოკრივეებს შორის, სადაც შარშანდელისაგან განსხვავებით ვიჩხუბებ 2008-2009 წლიანებს შორის და უკვე 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მერე ალბათ სხვა შეჯიბრებებიც იქნება...

***– ბევრი მოწინააღმდეგეა თავმოყრილი ამ წონაში?***

– არც ისე, ალბათ სულ მომიწევს 3 ორთაბრძოლის გამართვა და ახლა ყოველმხრივ ვემზადები, რომ ყველა მათგანი ჩემს სასარგებლოდ დავასრულო.

***– აბა შენ იცი, ისე, ცაცია ხარ, თუ მარჯვენა უფრო გეხერხება?***

– უფრო მარჯვენა ხელი, მაგრამ ისე არც ერთს არ ვუჩივი.

***– რას ფიქრობ, რა პროფესიას აირჩევ დიდობაში?***

– რაკი კრივს მოვკიდე ხელი, ბოლომდე მინდა მივყვე სპორტს და გამოვიდე კარგი სპორტსმენი, ვინც თავის სიტყვას იტყვის დიდ სპორტში.

***– შენი მისაბაძი და საყვარელი მოკრივეები ვინ არიან?***

– საქართველოდან ესენი არიან მოქმედი მოკრივეები საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები ლაშა გურული, დიმა ქაჯაია, მსოფლიოს დონის ამჟამინდელი ვარსკვლავი კანელიო, ცოტა წინა პერიოდიდან ფლოიდ მეივეზერი.

***– აბა, შენზეა სიტყვა, ჯერ მარნეულის ჩემპიონატი და შემდეგ უფრო დიდი დონის ასპარეზობები მოგაგებინოს ღმერთმა.***

## დიდი პერსპექტივების კართან



**ქართველთა** დიდი მეფის, დავით IV აღმაშენებლის გიორგიწმინდელი მოსახელის, ძიუდოისტი **დავით კევლიშვილის** შესახებ, ამ სამიოდე წლის წინ მოვამზადეთ საგაზეთო სტატია, სადაც გარეჯელი სპორტის ბედით დაინტერესებულ ჩვენს მკითხველს დაწვრილებით მოვუყევით დიდი არსენ მეკოკიშვილის მშობლიურ სოფელში ახლად ფეხადგმული ამ პერსპექტიული ფალავნის იმ დროისათვის საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ მოპოვებული წარმატებების შესახებ. მას შემდეგ გამოხდა ხანი და **ბადრი ბასილაშვილისა და გოჩა მეკოკიშვილის** ნიჭიერმა აღსაზრდელმა კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია სპორტულ სარბიელზე და გააორმაგა და გაასამმაგა მის მიერ მოპოვებული ჯილდოების რიცხვი, რომელთა შესახებ სასაუბროდ, იგი კვლავ მოვიწვიეთ გაზეთის რედაქციაში. როგორც აღმოჩნდა, დავითს წელს უკვე დაუმთავრებია გიორგიწმინდის საჯარო სკოლის სრული კურსი და შვიდი წლის ასაკიდან მოყოლებული, როცა იგი პირველად შევიდა ძიუდოზე სავარჯიშოდ გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში, წლევანდლამდე უკვე 56-ჯერ იზეიმა სხვადასხვა შეჯიბრებების შედეგები. მათ შორის არა ერთხელ მოგებული აქვს საქართველოს ჩემპიონატები სხვადასხვა ასაკსა და წონაში, ორჯერ ბუდაპეშტის ევროპის თასი, არის რუსეთში, სანკტ-პეტერბურგის ტურნირების ორგზის ჩემპიონი, 2020 წლის კოპენჰაგენში გამართული ევროპის თასის გამარჯვებული, საქართველოს ოქროს ლიგის (გუნდური) პირველადგილოსანი, საგარეჯოში ჩატარებული თითქმის ყველა, როინ ყორღანაშვილის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა სახელობის (2018წ.) და სხვა ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული.

წარმატებით გააცილა დავითმა გასული 2023 წელიც. საქართველოს ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის, შეძლო მესამე საპრიზო ადგილის დაკავება, რითაც მისთვის ფართოდ გაიღო საქართველოს ნაკრების კარი, საიდანაც ფართოდ მოჩანს უფრო დიდი, ევროპული და მსოფლიო მიღწევების პერსპექტივები. აკი პირველი ნაბიჯიც გადადგა ამ გზის დასაწყისში – გარდა ევროპის ჩემპიონატის III ადგილოსანი გუნდურ პირველობაში. სწორედ ამის გათვალისწინებით ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების" ხელმძღვანელობამ – იგი 2023 წლის მუნიციპალიტეტის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში დაასახელა.

ამჟამად დავითი საქართველოს ახალგაზრდულ შემადგენლობაში წვრთნებს თბილისში „შევარდნის" სპორტულ ბაზაზე გადის და ემზადება 2024 წლის საქართველოს ჩემპიონატისათვის, სადაც 66 კგ წონით კატეგორიაში მოუწევს ჭიდაობა. ამ წონაში საკმაოდ დიდი კონკურენციაა, მაგრამ ფიქრობს, რომ შეძლებს ამ წნეხის წარმატებით გავლას და უფრო დიდი სარბიელისთვის შეჭიდებას, რომლის გამოცდილება მას უკვე მიღებული აქვს იგივე კოპენჰაგენში, ბუდაპეშტში, სანკტ-პეტერბურგსა და სხვა საზღვარგარეთის ქვეყნების ტატამებზე. ასევე გადაწყვეტილი აქვს ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენი გაზეთის მეშვეობით დავითი ყველა ქართველს და მათ შორის საგარეჯოელებს, გარეჯული ძიუდოს გულშემატკივრებს ულოცავს „დავითობას" და გვპირდება, რომ კვლავაც ასახელებს საქართველოსა და მშობლიურ კუთხეს ახალ-ახალი წარმატებით!

*გიგი დაბახიშვილი*

# მართლმადიდებლობა

## 8 თებერვალს წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!



16 წლისა ადის სამეფო ტახტზე.

26 წლისამ თურქებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა.

27 წლის ქვეყნიდან დევნის სელჩუკებს.

29 წლის კახეთ-ჰერეთს იერთებს.

31 წლის ატარებს უმნიშვნელოვანეს საეკლესიო რეფორმას.

32 წლის ატარებს სამხედრო რეფორმას - ქმნის "ქართველთა ლაშქარს"- მოსახლეობისგან.

ყივჩაყთა ლაშქარს - მუდმივი დანიშნულებისას.

"როქის სპას"- დაქირავებულ ლაშქარს. ასევე, შემოიღებს "მსტოვართა" ინსტიტუტს.

33 წლისამ დაიწყო იყალთოს, გელათის აკადემიების მშენებლობა.

34 წლისა ატარებს სამართლის რეფორმას, თავისუფლდება თურქ-სელჩუკებისგან და განაგრძობს ტერიტორიების გაფართოვებას.

48 წლისა იგებს დიდგორის ომს! მსოფლიო საბრძოლო ისტორიაში, "დიდგორის ომი" შედის ტოპ-სამეულში, თავისი სტრატეგიითა და დაუჯერებელი შედეგების გათვალისწინებით.

49 წლისა იბრუნებს თბილისს.

51 წლისა დმანისის სახით ათავისუფლებს უკანასკნელ ქართულ ქალაქს.

52 წლის გარდაიცვალა.

და შექმნა სახელმწიფო "ნიკოფსიითგან, დარუბანდისა ზღვამდე და ოვსეთიდან სოერად და არგეწამდე".

***ის იყო დავით IV აღმაშენებელი - მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვან-შა და შაჰან-შა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.***

უფალო, შენ მოგვივლინე კიდევ ერთი აღმაშენებელი ჩვენი სამშობლოსი.

---

**ტროპარი**

***საკვირველება, რომელი ჰქმენ, უფალო, წმიდისა შენისა შორის, კეთილმსახურისა მეფისა დავითისა, ზეშთა აღხდების გონებასა სიტყვისმოქმედთასა, რამეთუ ადიდე იგი სახელისათვის შენისა, ვიდრე დახსნადმდე სარკინოზთა, ბრწყინვალეთა მიერ ძლევათა ყოვლად-საკვირველთა, ხოლო შემდგომად დახსნისა სარკინოზთა სა, დიდებულ-ჰყავ ნიშთა მიერ საკვირველთა, რომლისა ოხითა მოეც სულთა ჩუენთა დიდი წყალობა .***

**კონდაკი**

***ზეშთა მბრძოლსა უძლეველსა, დავითს, და შემწესა ურცხვენელსა კეთილმსახურებისასა, ვითარცა მის მიერ განათლებულნი, სამწყსო სა მისისანი ერნი და ქალაქნი, შორის ხმისა გვირგვინსა შეუთხზვიდეთ, განმათავისუფლებელსა მას ჩუენსა ყოველთაგან ვნებათა, და ვიტყოდეთ მისდამი სიხარულით: გიხაროდენ, კმაო მფარველო ჩუენო.***

---

# რატომ ჩაატარა დავით აღმაშენებელმა წმედა ეკლესიაში, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელითაა ცნობილი

**რუის-ურბნისის** საეკლესიო კრება და კრებაზე მიღებული ე.წ. ძეგლისწერა (რუისურბნისის ძეგლისწერა) 1105 წელი.

კრების მოწვევის მიზეზად სახელდება ეკლესიის უღირსი სასულიერო პირებისგან გაწმენდა, რაშიც იგულისხმება ხელდასხმის წესის დარღვევა(ეპისკოპოსობის თანამდებობებს გვარიშვილობით იკავებდნენ),საეკლესიო ქონების განიავება, მცირეწლოვანთა ქორწინება,მამათმავლობა და კიდევ სხვა.კრების თავმჯდომარე იყო იოანე კათალიკოსი

„თავ და წინამძღუარ... წმიდასა მის კრებისა იყო... იოვანე ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოისა დიდი მამამთავარი"

დავითის მიზანს წარმოადგენდა ეკლესიის დამორჩილება და სამეფო ხელისუფლების განმტკიცება.თავად ძეგლში კი აღნიშნულია,რომ საეკლესიო და სამღვდელოთა საქმეების განხილვა იყო. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედეგებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცება-ცენტრალიზებაში.

**ძეგლისწერა 15 კანონისგან შედგებოდა:**

1)ძეგლისწერა გადაყენებულად აცხადებს უღირს მღვდელთმთავარს, მსახურს, რომელმაც სულისათვის ხორცი არ დათრგუნა.

2)ეპისკოპოსი უნდა იყოს არანაკლებ ოცდათხუთმეტი წლისა, მღვდელი ოცდაათისა, დიაკონი ოცდახუთისა, „წიგნის მკითხველი" კი რვა წლისა. ხელდასმა უნდა ხდებოდეს ჯერ უმცროს თანამდებობებზე, შემდეგ კი თანდათანობით უფროსზე.

3)ხელდასმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმინდელის განწესების მიხედვით.

4)ძეგლისწერა კრძალავს ხელდასმას ქრთამით, ძღვენით.

5)საეკლესიო ქონება, საჭურჭლე მხოლოდ დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს.

6)საეკლესიო ქონება, საჭურჭლე მხოლოდ დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს.

7)ქორწინება, ნათლისღება, მონაზვნად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით. გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო. ძეგლისწერა ორ ქორწინებაზე მეტს არ აღიარებდა;

დაქორწინებისას ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლებ თორმეტი წლისა.

8)კათალიკოსთაგან და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირჩნენ ისეთები,რომლებიც გათვითცნობიერებულები არიან საქრისტიანო წესებში,უანგაროდ ემსახურებიან ეკლესიის საქმეს.

9)მოძღვართა სიმრავლე მონასტერში განხეთქილების მიზეზს შემოიღებს,ამიტომ მათი რიცხვი უნდა განისაზღვროს: დიდ მონასტერში დასაშვებია ორი მოძღვარი, ხოლო პატარაში — ერთიც საკმარისია.

10)იკრძალება ეკლესიაში ერისკაცთა მიერ სამოქალაქო და სასოფლო სამსახური.

11)განმარტებულია ვის მიერ, სად და როგორ უნდა სრულდებოდეს ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა.

12)ძეგლისწერის მიხედვით, სომეხნი სარწმუნოებით მწვალებლები არიან და თუ სომეხი მართლმადიდებლობას აღიარებს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ის ისეთი წესით უნდა მიიღოს, როგორი წესითაც წარმართს იღებს.

13)იკრძალება მართლმადიდებლისა და წარმართის ქორწინება.

14)აკრძალულია წარმომადგენლობითი ქორწინება (წარმომადგენლობითი ქორწინებისას, თუ შესაუღლებლები სხვადასხვა ადგილას არიან და მათი ერთად შეყრა ვერ ხერხდება, მაშინ გვირგვინის კურთხევის დროს საქმროს მაგიერ მისი წარმომადგენელი უნდა იყოს).

15)ძეგლისწერა ეხება სოდომურ დანაშაულს, ე.ი. არაბუნებივ სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას.დასახელებულია ცოდვები: მტრობა, შური, კაცისკვლა, მრუშობა, კერპთმსახურება, ცრუ-ფიცი.

---

# კულტურულ-საგანმანათლებლო და საალმშენებლო მოღვაწეობა

**გაუთავებელ** ომიანობაში მყოფი მეფე არც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ივიწყებდა. დავითი ფრიად განსწავლული ადამიანი იყო და ერის განათლებაზეც რეალურად ფიქრობდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია სომეხ მემატიანეს ვარდან ბაზბერდეცს, რომელიც აღნიშნავს, რომ „დავითი ძლიერ ზრუნავდა ცოდნის მოყვარე ივერიის ხალხზე". ცოდნის მიღების მიზნით საქართველოს მეფეს 40 ბავშვი აურჩევია და საბერძნეთში (ბიზანტიაში) გაუგზავნია, რათა ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ, რაც მათ გააკეთეს კიდევაც. სამი მათგანი შემდეგში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით.

სწავლა-აღზრდის საქმე თვით საქართველოშიც დაწინაურებული ჩანს დავითის მოღვაწეობის პერიოდში. სკოლები, ძირითადად, ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. XI-XII საუკუნეების საქართველოში ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ოფიციალური სახისა იყო, სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკასა და ქართულ მწიგნობრობას, რომელთან ერთად გავრცელებული იყო კერძო, საშინაო სწავლება სამეფო კარის და დიდგვაროვანი ფეოდალების ოჯახის შვილებისათვის

დავითის დროინდელ საქართველოში, როგორც ჩანს არაერთი უმაღლესი სკოლა და აკადემია იყო, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი გელათს უკავია. დავითმა 1106 წელს „მოიგონა აღშენება მონასტრისა" და „ადგილსა ყოვლად შვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა" ააგო ტაძარი, რომელიც იყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა", განთქმული თავისი „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა". ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნებული იქნა ქართული განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა — გელათის აკადემია. დავითის ისტორიკოსი გელათს მოიხსენიებს „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა..." (ქართლის ცხოვრება).

დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემია საქართველოს უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო გელათის აკადემიის სათანადო კადრებითა და მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. საქართველოს მეფე სწავლულ-მეცნიერებს ეძებდა არა მარტო „თვისთა ოდენ სამეფოთა შინა, არამედ ქუეყანისა კიდეთად". დავითი მაღალი კრიტერიუმებით უდგებოდა სწავლულთა შერჩევას. მეფემ გამოძებნა და „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა".

გელათის აკადემია დაარსებული უნდა იყოს 1106-1110 წლებში ე. ი. ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე. ამ ტაძრის მთლიანი კომპლექსი დემეტრე I-ის დროს დასრულდა.

გელათის აკადემია შუა საუკუნეების პირველი აკადემიაა. იგი რეალური მოთხოვნილებების ნიადაგზე შეიქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს.[96] XII საუკუნის 10-იან წლებში მოსულა გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ იოანე პეტრიწი. იგი დავითს მოუწვევია. პეტრიწიც მინდობია საქართველოს მეფეს და მთელი ძალით შესდგომია მოღვაწეობას. 1114 წელს გელათის აკადემიაში მოღვაწეობა დაიწყო ქართველმა სასულიერო მოღვაწემ ფილოსოფოსმა, მწერალმა და ჰიმნოგრაფმა არსენ იყალთოელმა.

გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე უფრო მეტად გამოჩენილი პირები, რამაც მისი როგორც უმაღლესი კულტურული და სასწავლო ცენტრის მნიშვნელობა უაღრესად გაზარდა და ფრიად ავტორიტეტული გახადა.

აკადემიაში, ისე როგორც იმდროინდელი ბიზანტიის სქოლასტიკურ უმაღლეს სკოლებში, ისწავლებოდა მეცნიერების 7 ძირითადი დარგი: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.

შიომღვიმის მონასტრის ზემო ეკლესია, რომლის აგება დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება.

დავით აღმაშენებლის ხელნაწერი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრიდან, სადაც ვკითხულობთ: „ქ. მე დავით უნარჩევესმან მონამან ხელითა მონითა ქრისტესთა მან გავგზავნე წიგნი ესე მთას წმიდას სინას ვინც მოიხარებდეთ ლოცვა ყავთ ჩემთვინ."

დავითი დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურული ცენტრების გამრავლებას საზღვარგარეთაც. მრავალმხრივ განათლებულ საქართველოს მეფეს თავისი დამხმარე ხელი შორს გაუწვდენია საზღვარგარეთული სავანეებისათვის, „...აღავსო ზღუა და ხმელი ქუელის საქმემან მისმან. რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთ ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი თვითოფერთა მიერ შესაწირვთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალთასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმინდეთა ოქროსა რჩეულისა". საზღვარგარეთ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების გაჩენა დავითის დიდი გავლენისა და ავტორიტეტის მაჩვენებელია საერთაშორისო მასშტაბით.

XI-XII სს-ის საქართველოში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის ხუროთმოძღვრება, ამ პერიოდში შეიქმნა შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები, რომელშიაც მკაფიოდ გამოჩნდა ახალი სტილისტიკური ნიშნები. დავითს დიდი საალმშენებლო საქმიანობა გაუშლია: „რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენი გზანი საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილქვნა..." და ა. შ. მისივე ბრძანებით იქნა აგებული შიომღვიმის ზემო ეკლესია.

ჩვენამდე მოღწეულია დავით აღმაშენებლის ორი ანდერძი: ერთი შიომღვიმის ლავრისადმი, ხოლო მეორე გელათისადმი. ამ ანდერძებიდან ჩანს, თუ რა დიდი წყალობა გაუღია მეფეს ამ სასულიერო და საერო სასწავლო ცენტრებისადმი.

ამავე დროს, მეფე არა მარტო თანამემამულეებს მფარველობდა, არამედ უცხოელ მეცნიერებსა და სწავლულებსაც ზრუნვას არ აკლებდა. არაბი ისტორიკოსი, იბნ ალჯაუზი აღნიშნავს, რომ დავითი მუსლიმ პოეტებს, სუფიებსა და სწავლულებს ხშირად იწვევდა სამეფო კარზე და წვეულებებსაც უმართავდა მათ.

# სპორტი

## მანაველი ძიუდოისტი გოგონა, დიდ სპორტისკენ მიმავალ გზაზე



**ჩვენს** მუნიციპალიტეტში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება გოგონათა ძიუდო და შესაბამისად, მატულობს მათ მიერ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო არენებზე მოპოვებული წარმატებები. ამ მრავალთაგან ერთ-ერთია მანავის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ნინო საფარაშვილი,** გოგონა, რომელიც ერთ წელზე ცოტა მეტია სავარჯიშოდ მოვიდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ გოგონათა ძიუდოს სექციაში და უკვე აქვს გაკეთებული სერიოზული განაცხადი დიდ სპორტში შესვლისა და იქ სათანადო ადგილის დასაკავებლად.

წარმატებით დაიწყო ახალი 2024 წელი ნინოსთვის. იანვარში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში 15 წლამდელთა შორის მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეს კი სულაც არ არის ურიგო, რადგან ამ წარმატებით მისთვის გაიღო კარი უფრო დიდ ასპარეზობებში მონაწილეობისათვის. ამ წარმატებამდე ნინოს არც შარშან შეურცხვენია სპორტგაერთიანების და მწვრთნელის იმიჯი. ქვეყნის ტატამებზე გამართულ შეჯიბრებებში, რისი გათვალისწინებითაც გადავწყვიტეთ უფრო ახლოს გაგვეცნო ქალთა ძიუდოთი დაინტერესებული ჩვენი მკითხველისათვის ეს იმედისმომცემი და პერსპექტიული გოგონა – ფალავანი, რომელზედაც მისი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს. ამ მიზნით ვეწვიეთ მას საგარეჯოში, ერეკლე მეორის ქუჩაზე მდებარე სავარჯიშო დარბაზში, სადაც მწვრთნელი **ლუდმილა ფერაძე** მორიგ წვრთნას უტარებდა თავის აღსაზრდელებს, მათ შორის ნინოსაც, რომელმაც ჩემპიონატში ხელი დაიშავა და ახლა კისერზე დოლბანდით ჩამოკიდებული, შეხვეული ხელით მოსულიყო. ოხ, ეს ხელის ტრავმა, ეს რომ არა, დიდი ალბათობით ახლა იგი საქართველოს ჩემპიონი გვეყოლებოდა...

მანავში ოთარ საფარაშვილისა და ეკა დაბახიშვილის ოჯახში მოევლინა ამ ქვეყანას ნინო. პაპამისი – გივი საფარაშვილი, გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში ერთ-ერთ პერსპექტიულ მოჭიდავედ ითვლებოდა მანავსა და საგარეჯოშიც. კარგი მონაცემები და აქედან გამომდინარე, დიდი პერსპექტივებიც ჰქონდა, მაგრამ „მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო“ ხელი აიღო თავისი მიზნის განხორციელებაზე. არა და, ეს კაცი ნამდვილად ჭიდაობისთვის იყო დაბადებული. მე მინახავს იგი საგარეჯოში, ქართულ ჭიდაობაში გამართულ ასპარეზობებზე, როგორ ვერ ჩერდებოდა ადგილზე, როცა რომელიმე ჩვენი მოჭიდავე სათანადოდ ვერ ასრულებდა ამა თუ იმ ფანდს.

ამ ქვეყანაზე არაფერი იკარგება და ქრება უკვალოდ. ეტყობა, პაპის გენებმა იმძლავრეს ნინოში, როცა ძიუდოზე შესვლა გადაწყვიტა და ახლა თითქმის ყოველ დღე უწევს მანავიდან საგარეჯოში სიარული, ნატკენი ხელითაც ხომ მოვიდა ვარჯიშზე!

***– ნინო, მოდი მოგვიყევი შენი წლევანდელი პირველი ასპარეზობისა და წარმატების შესახებ. ვის შეხვდი, რა შედეგები გქონდა მეტოქეებთან შეხვედრებში, როგორ იტკინე ხელი?! – ვეკითხები ნინოს.***

– საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ჩატარდა თბილისში ძიუდოს აკადემიის ტატამზე. ამ ჩემპიონატში სულ ქვეყნის 108 გოგონა ძიუდოისტი იღებდა მონაწილეობას. პირადად მე ვჭიდაობდი 2007-2008 წლებში დაბადებულთა ასაკობრივ ჯგუფში, კერძოდ, 44 კგ წონით კატეგორიაში. ამ წონაში ერთმანეთს 10 გოგონა ძიუდოისტი ეცილებოდა ჩემპიონობისა და შესაბამისი ოქროს მედლის მოსაპოვებლად. სულ მომიხდა სამი ორთაბრძოლის გამართვა. პირველ შეხვედრაში ვაზარით დავამარცხე თბილისელი გამოცდილი მეტოქე. მეორე – ნახევარფინალურ შეხვედრაში – საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირისა და საქართველოს შარშანდელი გამარჯვებული ჭიათურელი მოწინააღმდეგე და ფინალში შევხვდი სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენელს, რა დროსაც ამომივარდა ხელის მტევანი და ველარ გავაგრძელე ასპარეზობა.

– მართალია, ფინალში მისი მოწინააღმდეგე გამოცდილი და ტიტულოვანი ძიუდოისტი იყო, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, ხელი რომ არ ეღრძო, ნინოს ყველა შანსი ჰქონდა გამხდარიყო საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, – ***საუბარში გვერთვება ლუდა ფერაძე,*** – ამას მე, როგორც მწვრთნელი ვაცხადებ და მისი შარშანდელი შედეგებიც მოწმობენ.

***– ქალბატონო ლუდმილა მოდით, აბა, ეს წარმატებებიც შევახსენოთ ჩვენი გაზეთის მკითხველს, რომელთა შესახებ თავის დროზე მოკლე ინფორმაცია დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.***

– 2023 წლის მარტში ჩატარდა ზურაბ იარაჯულის ხსოვნის I საერთაშორისო ტურნირი, სადაც, მიუხედავად გამოუცდელობისა, ნინომ შეძლო III საპრიზო ადგილისა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება. ივნისში ბოლნისში გამართულ დავით ნავერიანის ხსოვნის VII საერთაშორისო ტურნირზე მან შეძლო იგივე შედეგის მიღწევა, ივნისის ბოლოს კი ხელვაჩაურში ჩატარებულ ნანა კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში, უკვე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ნინო დისციპლინირებული, მოწადინებული და საკმაოდ წარმატებული გოგონაა და მომავალშიც თუ ასე გაარძელა, მისგან უფრო მეტ შედეგებს უნდა ველოდეთ.

***– როდის მოუშუშდება ნატკენი ხელი ნინოს და შეძლებს თუ არა წლევანდელ სხვა შეჯიბრებებშიც მონაწილეობის მიღებას?***

– ეს ტრავმა დაახლოებით ორ კვირაში გაივლის და ნინო კვლავ ჩვეულ რიტმში გააგრძელებს ვარჯიშს და შესაბამისად, ასპარეზობებშიც მიიღებს მონაწილეობას.

***– მათგან უახლოესი, რომელშიც ნინოს მოუწევს ასპარეზობა?***

– ეს იქნება ევროპის თასის გათამაშება, რომელიც შარშან აპრილში გორში ჩატარდა და იქ ჩვენი ძიუდოისტი თამარ სუხიაშვილი III პრიზიორი გახდა. წელს კი ამ ასპარეზობას თელავი უმასპინძლებს და ვეცდებით ღირსეულად დავიცვათ იქ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და სპორტგაერთიანების პრესტიჟი.

***– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ დასახული გეგმების განხორციელებაში.***

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი*

## ძიუდო

## 2008-2009 წლიანთა სარეიტინგო ათეულში

**თბილისში** ძიუდოს აკადემიის ბაზაზე ტარდება ძიუდოში მიმდინარე წლის სარეიტინგო ტურნირები, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ შესაბამისი სექციების აღსაზრდელები. მათგან 2008-2009 წლიანთა შორის ლიცენზიები მოიპოვა **ათმა ძიუდოისტმა.** ესენი არიან: საბა ოდიკაძე (46კგ), რამაზ საყვარელაშვილი (50კგ), თამაზ მახარობლიშვილი (50კგ), მერაბ ზირაქაშვილი (50კგ), ლუკა დარისპანაშვილი (55კგ), ვახო ჭიაბერაშვილი (60კგ), ოთარ ოდიკაძე (60კგ), ლადო მაჩურიძე (73კგ), გიგა ბეჟიტაშვილი (81კგ), ერეკლე მეურმიშვილი (+81კგ).



თებერვლიდან მსგავსი ტურნირები ჩატარდება სხვა ასაკობრივი ჯგუფების ძიუდოისტებისთვის.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს სპორტსმენებს ამ მნიშვნელოვან ასპარეზობაში.

## „სადაურსა სად წაიყვან, ბედო...“

## გარეჯელები ესპანეთში

### «გარეჯში» ფეხადგმული მადრიდის «დუქსის» ფეხბურთელი



**პატარა** ბიჭობიდან მახსოვს: ცელქი, მოუსვენარი, შინ და გარეთ ფეხბურთის ბურთთან განუყრელი, ბურთი იყო მისი ყველაზე კარგი და დიდი გასართობი, ამიტომაც ფეხბურთელობაზე მეოცნებე მშობლებმა სავარჯიშოდ საგარეჯოს ფეხბურთის გუნდ „გარეჯის“ პატარების გუნდში მიიყვანეს მწვრთნელ მალხაზ ნიჟარაძესთან, სადაც რამდენიმე წელს ეუფლებოდა მსოფლიოში პოპულარული სპორტის ამ სახეობას, მაგრამ....

9 წლის იყო იოანე ანდღულაძე, როცა მშობლებთან – გოგლა ანდღულაძესთან, ინგა გარსიაშვილთან და დასთან – 8 წლის ნინოსთან ერთად საცხოვრებლად ესპანეთის დედაქალაქში გადასვლა მოუწიათ. ძნელი იყო საგარეჯოში გაზრდილი ბავშვებისათვის საგარეჯოსთან და ნაცნობ ადამიანებთან დაშორება, ქართულის ნაცვლად უცხო– ესპანური ენისა და იქაურ გარემოსთან თანატოლ ბავშვებთან შეგუება, მაგრამ ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო და ისინიც ნელ-ნელა შეეგუვნენ უცხო ქვეყნის გარემოსა და ადათ-წესებს, თავიანთი წილი ადგილი დაიმკვიდრეს მადრიდში, თუმცა არასოდეს დაუკარგავთ მშობლიური ქვეყნისა და ადათ-წესების სიყვარული – ყველაფერ ქართულთან ერთად, იოანემ ესპანეთში ფეხბურთისადმი თავისი დიდი სიყვარული და ლტოლვაც წაიყოლია და მადრიდის ბავშვთა სხვადასხვა გუნდებში ვარჯიშობდა, თანდათან იმზადებდა ნიადაგს დიდ სპორტში შესასვლელად. პარალელურად სწავლობდა იქაურ სასწავლებელში, ზაფხულის არდადეგების დროს კი მშობლიურ საგარეჯოსა და ახლობელმეგობრებს სტუმრობდა დასთან ერთად.



ასე იყო 2023 წლის ზაფხულშიც, როცა ერთ დღეს სახლში გვეწვია უცნობი ჭაბუკი, რომელშიც ჩემი შვილის მიერ გასაწევი დახმარება რომ არა, ვერაფრით ამოვიცნობდი პატარა იოანეს. გულთბილი შეხვედრისას სხვათა შორის იოანეს ფეხბურთელობის შესახებაც ჩამოვაგდეთ სიტყვა და გაირკვა, რომ მას უკვე გარკვეული წარმატებები ჰქონდა მოპოვებული ქალაქის მასშტაბით ბავშვ ფეხბურთელთა შორის, შევთანხმდით, რომ მომავალში კიდევ შემხვდებოდა ამის შესახებ ინტერვიუს მოსაცემად, მაგრამ ისე გაემგზავრა ესპანეთში, რომ ეს ვერ მოხერხდა.

იოანეს სახელი ამ დღეებში სოცქსელში გამოქვეყნებულმა მისმა ფოტოსურათმა და ბიძამ – ლაშა ანდღულაძემ შეგვახსენა, რომელმაც თავის მხრივ მადრიდში თავის ძმასთან გოგლა ანდღულაძესთან დაგვაკავშირა. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ იოანე ამჟამად უკვე მადრიდის „დუქსის“ 15 წლიანთა ფეხბურთის გუნდში თამაშობს, რომელიც მონაწილეობს ესპანეთის II ლიგაში და კარგი შანსები აქვს I ლიგაში გადასასვლელად. იქ „გარეჯში“ ფეხადგმული ჩვენებურ მოთამაშეს ძირითადში მარჯვენა მცველის პოზიციაზე უწევს თამაში, თუმცა არც ცენტრში თამაშია მისთვის უცხო. მოკლედ, ასეთია ჩვენთან დაბადებულ-გაზრდილი და ახლა უკვე „დუქსის“ 15 წლის პერსპექტიული მოთამაშის ამბავი, რომელსაც დიდი შესაძლებლობები აქვს ესპანური და საერთოდ დიდ ფეხბურთში შესასვლელად და იქ თავისი ადგილის დასამკვიდრებლად.

ვინ იცის, იქნებ ბედმა ამიტომაც ჩამოიყვანა მისი ოჯახი ესპანეთში?

ქართველები ხომ სასწაულებს ახდენენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ...

*გივი დაბახიშვილი*

# ტერიტორიული ხელმისაწვდომობისათვის
# საგარეჯოში ჰემოდიალიზის ახალი ცენტრი გაიხსნა

**შპს „**ჯეო ჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ბაზაზე ჰემოდიალიზის ახალი ცენტრი გაიხსნა. ახლადგახსნილი ცენტრი, საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის მერმა*, ავთანდილ გულიკაშვილმა** ადგილზე მოინახულა.

სივრცე აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და პაციენტებისთვის შექმნილია კომფორტული გარემო.ცენტრი ადგილზე ზრდის ხელმისაწვდომობას დიალიზის საჭიროებისმქონე ბენეფიციარებისთვის, ვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო მომსახურება, მინიმუმ კვირაში სამჯერ ესაჭიროება. ადგილზე მათ მოწვეული სპეციალისტებთან ერთად სამედიცინო მომსახურებას ადგილობრივი გადამზადებული კადრებიც გაუწევს. ცენტრში განთავსებულია უახლესი თანამედროვე აღჭურვილობა და მისი რაოდენობა შესაძლებლობას იძლევა, 4 საათიანი ჰემოდიალიზის სეანსი დღეში 38 პაციენტს ჩაუტარდეს.







„ საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ბაზაზე დიალიზის ცენტრის გახსნა ბენეფიციარების ტერიტორიული პრინციპით გადანაწილების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია , რადგან ადგილზე იზრდება ხელმისაწვდომობა და მათ აქამდე არსებული დისკომფორტის თავიდან აცილების საშუალებას აძლევთ. პაციენტებს აღარ მოუწევთ სხვა ქალაქებში სიარული, ზედმეტი დროის და ხარჯების დაკარგვა. ადგილზე ისინი სრულად უზრუნველყოფილები იქნებიან დამატებითი სამედიცინო მომსახურებითაც თუ ამის საჭიროება ან მოთხოვნა იქნება ბენეფიციარების მხრიდან“-განაცხადა ***„ჯეო ჰოსპიტალს-“ის საგარეჯოს ფილიალის მენეჯერმა* - სულხან სამხარაძემ.**

მისივე თქმით, კომპანიის მხრიდან სოლიდური ინვესტიცია ჩაიდო ქსელის მასშტაბით დიალიზის სერვის ცენტრების მოწყობაში. დიალიზის პაციენტები თირკმლის ქრონიკული დაავადების ტერმინალური სტადიით, თირკმელის ჩანაცვლებითი თერაპიით მკურნალობას შესაბამისი პროფილის კლინიკაში საჭიროებენ. .ბენეფიციართა ეს ჯგუფი მძიმე პაციენტთა კატეგორიას მიეკუთვნებიან და მათთვის მნიშვნელოვანია ტერიტორიული ხელმისაწვდომობა. მითუმეტეს, როცა ბენეფიციარები ამ პროცესზე ათეული წლებიც კი არიან დამოკიდებული. დიალიზის პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება, „ჯეო ჰოსპიტალს“-ის ქსელი კი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში უზრუნველყოფს დიალიზის თანამედროვე ცენტრების აღჭურვასა და ფუნქციონირებას.

# შემეცნებითი და სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული კომიტეტის წევრებთან

**დასასრული**

ინდოელმა პროფესორმა, IGNOU-ს აკადემიურმა მრჩეველმა, სცენარისტმა, პროდიუსერმა- **გური ნილაკანტა მეჰტიმ** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული კომიტეტის წევრებთან კულტურის ისტორიასა და ტურიზმის პოტენციალზე შემეცნებითი და სამუშაო შეხვედრა გამართა. საუბარი შეეხო ინდოეთში დამოუკიდებელი ორგანიზაციების კულტურის პროგრამებსა და პროექტებს, მათ კავშირებს სათემო განვითარებასთან, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქების ფესტივალების წარმატებით განხორციელების საქმეში.

შეხვედრას განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **არჩილ ჯაბადარი** ესწრებოდა.











რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com